საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თი ეს გრუპი"-ის დირექტორი

ალიდინ დადაშოვის

ტელ: 574 29-99-88;
office@tsgroup.az

№15471
15.06.20
2/CD

განცხადება

შპს „თი ეს გრუპი"-ს გააჩნია ცემენტის წარმოებაზე 2020 წლის 05 აგვისტოს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება საქართელოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს №2-690 ბრძანების საფუძველზე.

საწარმოზე, რომელზედაც არსებობს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №№2-690 (05/08/2020), რომლის თანახმად დამონტაჟებულია ცემენტის დაფქვის წისქვილი, რომლის წარმადობა შეადგენს 10 ტ/სთ-ს. წელიწადში 330 სამუშაო დღის და დღეში 20 საათიანი მუშაობის რეჟიმის პირობებში, საწარმოს სიმძლავრე წელიწადში შეადგენს 66000 ტონა ცემენტს, რომლისთვისაც საწარმო გამოიყენებს 52 800 ტონა კლინკერს, 3300 ტონა თაბაშირს და 9900 ტონა დანამატებს. საწარმო უშვებს M-300, M-400 და M-500 მარკის ცემენტს.

ქვეყანაში ცემენტის მოთხოვნილებაზე გაზრთასთან დაკავშირებით, საწარმოს ტერიტორიაზე დაიგეგმა დამატებით ახალი 10 ტ/სთ წარმადობის წისქვილის მონტაჟი, რომელიც ასევე იმუშავებს დღეში 20 საათი და წელიწადში 330 დღე და შესაბამისად დამატებით მიიღება 66000 ტონა ცემენტი, რომლისათვის დამატებით საჭირო იქნება 52800 ტონა კლინკერის, 3300 ტონა თაბაშირის და 9900 ტონა დანამატების დაფქვა.

ექსპლოატაციის პირობების შეცვლის შემდეგ ჯამურად საწარმოში ორივე წისქვილში გამოშვებული იქნება 132000 ტონა სხვადასხვა მარკის ცემენტი, რისთვისაც საჭირო იქნება 105600 ტონა კლინკერი, 6600 ტონა თაბაშირი და 19800 ტონა ღორღი.

ასევე ექსპლოატაციის პირობების შემდეგ საწარმოში დაგეგმილი 8 სილოსის ნაცვლად მოხდა მხოლოდ 4 სილოსის მონტაჟი და არ მომხდარა 4-ის მონტაჟი. ექსპლოატაციის პირობების ცვლილებისშემდეგ მოხდება 4 სილოსის ნაცვლად ორი 2 ცალი სილოსის დამონტაჟება, რომელთა თითეულის ტევადობა იქნება 500 ტონის.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა,

მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა).

ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი გეგმავს ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებას და მიაჩნია, რომ ამ საქმიანობისთვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, იგი უფლებამოსილია სამინისტროს ამ კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი წესით წარუდგინოს სკოპინგის განცხადება (სკრინინგის ეტაპის გავლის გარეშე). ასეთ შემთხვევაში გამოიყენება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნები.

აქედან გამომდინარე კოდექსის მე-5 პუნქტის შესაბამისად შემუშავებულ იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად და სკოპინგის დასკვნის მისაღებად.

წერილს თან ერთვის:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "თი ეს გრუპი"-ს ცემენტის წარმოების საამქროს (კლინკერის, თაბაშირისა და დანამატების დაფქვით) სკოპინგის ანგარიში და ელექტრული ვერსია;
- დაგეგმილი საქმიანობის ტერიტორიის shp ფაილები.

პატივისცემით

ალიდინ დადაშოვის
დირექტორი

"TS GROUP" LLC
TS GROUP
"თი ეს გრუპი"
405172272
საქართველო • GEORGIA